შპს აგროინვესტი

15.04.2021
2021-OUT-15.IV-1

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „აგროინვესტი "(საიდენტიფიკაციო კოდი: 402171724) ფლობს 194 ჰა მიწის ფართობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფ. ხაიშის მიმდებარედ. აღნიშნიშნული ფართობიდან 70 ჰა ტერიტორია არ ირწყვება, ხოლო დანარჩენი 124 ჰა ირწყვება ალგეთის წყალსაცავიდან, არსებული სამელიორაციო სისტემის საშუალებით.

იმისათვის, რომ გაიზარდოს 70 ჰა მიწის ფართობის მოსავლიანობა აუცილებელია მიყვანილ იქნას სარწყავი წყალი, ამ მიზნის განხორცილებეისათვის, ოპტიმალური ვარიანტია მდინარე ხრამიდან სარწყავი წყლის ამოტუმბვა.

შესაბამისად, პროექტი მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-2 დანართით განსაზღვრული საქმიანობების ნუსხას. კერძოდ, პუნქტი 1.3. სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია. კანონის მოთხოვნით საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას შესაბამისი ანგარიშით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფ. ხაიშთან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციისთვის.

მოგმართავთ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და წარმოგიდგენთ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

ამასთანავე, ვთვლით, რომ წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს პროექტის გახორციელების შედეგად მოსალოდნელ გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

პატივისცემით,

ვლადიმერ ბაკურაძე

დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
№ 6775
15.04.2021
4/CD ფ.
+ 02 +

მის.: თეთრიწყარო, სოფ. ხაიში
ტელ.: 599 95 09 06
ელ. ფოსტა: agroinvestofgeorgia@gmail.com